განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამედიცინო საგანმანათლებო პროგრამა

ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 30.11.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი 18.12.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული უნივერსიტეტი
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი სამედიცინო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor), 0912
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი გრიგოლია, კლინიკუმ ფურსტენფელდბრუკ, ლუდვიგ მაქსიმილიანს უნივერსიტეტი, მიუნხენი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე ნეუ ვიჟენ უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ევროპის უნივერსიტეტის სამედიცინო საგანმანათლებო პროგრამა წარმოადგენს ერთსაფეხურიან, ინგლისურენოვან სასწავლო პროგრამას, რომლის სასაწავლო პროცესი მოიცავს 6 სრულ წელს (12 სემესტრს) და მისი წარმატებით დამთვრების შემდგომ ყოფილ სტუდენტს ეძლევა დიპლომირებული მედიკოსისი კვალიფიკზაცია. საგანმანათლებო პროგრამის მოცულობა შეადგენს 360 კრედიტს და მისი ეტაპები შინაარსობრივად ეფუძნება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ ბრძნებულებებს ასე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.
„ევროპის უნივერსიტეტში“ სამედიცინო პროგრამაში სასწავლებლად დაიშვებიან სტუდენტები, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.13.2011 No224/ნ ბრძანების საფუძველზე, ბრძანება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტებს ამ საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, მაგრამ აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, ევროპის უნივერსიტეტის ,,ენობრივი კომპეტენციის წესის შესაბამისად“. ასევე პროგრამაში სწავლებაზე დაიშვებიან ყველა ის სტუდენტი და აბიტურიენტი რომელთა სასწავლო სტატუსი შესაბამისობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No10/ნ-თან , მიღებული და დამტკიცებული 04.02.2010 წელს, კერძოდ კი ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.
სასწავლო პროგრამის აქტუალურობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალის მომზადება, რომელიც შეძლებს პრაქტიკაში დაეყრდნოს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებს, კვალიფიციურად გამოიყენოს კვლევითი, ეთიკური და კომუნიკაციური უნარები; შეძლოს თავი დაიმკვიდროს და პროფესიულად განვითარდეს მუდმივად ცვალებად გარემოში.
სწავლის შედეგები დაფუძნებულია ზოგად/ და დარგობრივ კომპენტენციებზე. ზოგადი პრინციპები მოცავს ცოდნას მიღებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიური ქმედების შესაძლებლობებს. რაც შეეხება დარგობრივ კომპენტენციას ის დაფუძნებულია 14 ფუნდამენტალურ გარემოება/ფაქტორზე რომელთა სრულყოფილი სწავლა და ათვისება უეჭველად შესძენს მედიცინის პროგრამის სტუდენტს ყველა საჭირო უნარ/ჩვევას, რომელიც უსათუოდ ესაჭიროება თანამედროვე პროფესიონალ ექიმს.

ევროპის უნივერსიტეტის სწავლის შედეგის მიღწევის ფორმები და მეთოდები საკმაოდ ამომწურავად პასუხობს როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო სტანდარტს. უშუალოდ სწავლების მეთოდები მოიცავს შემთხვევების განხილვაზე დაფუძნებულ სწავლებას, მსჯელობას, სემინარების მოწყობას და პროექტებზე მუშაობას. საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექციები, სემინარი / ჯგუფური (გუნდური) მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, სიმულაციურ კლასებში მეცადინეობა სიმულატორების და მანეკენების გამოყენებით, პრაქტიკული მუშაობა, კლინიკური პრაქტიკა დისკუსია - მასწავლებელსა და სტუდენტს შორის, ან/და სტუდენტთა შორის, დებატები, ზეპირი მოხსენება, პრეზენტაცია ქვიზი - წერითი სამუშაო, PBL - პრობლემაზე დაფუძნებული

სწავლება, CBL - case based learning - შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება და რათქმა უნდა სამეცნიერო კვლევაში ჩართვა

რა თქმა უნდა აღნიშვნის ღირსია, რომ პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს ანუ 12 სემესტრს და მოიცავს 360 კრედიტს. 1 კრედიტი მოიცავს 30 ასტრონომიულ საათს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 900 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

სამედიცინო პროგრამის სტრუქტურასთან მიმართებაში ჩვენ დავადგინეთ რომ ეს პროგრამა იყოფა 4 ფაზად: I ფაზა - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი), II ფაზა - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი), III ფაზა - ძირითადი კლინიკური როტაციები (IV-V კურსი) და IV ფაზა - (VI კურსი). პროგრამის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს - 338 კრედიტი, ხოლო პროგრამის არჩევითი კომპონენტი - იყო 22 კრედიტი.

ასევე აღსანიშნავია სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. შეფასების ფორმებია - შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) – 60 ქულა; დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

ევროპის უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელებისსთვის მატერიალური რესურსის სახით გააჩნია 45 კლინიკური სასაწავლო ბაზა სადაც წარმატებით მიმდინარეობს სასწავლო პროცესები, ასევე აღსანიშნავია, რომ კლინიკას დაგეგმარებული აქვს საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა რომლის მშენებლობის ბიუჯეტის საწყისი ეტაპისთვის გაწერილი არის 2 მილიონი ლარი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა** ჩატარდა კონსტრუქციულად და მშვიდ გარემოში, გაწერილი გეგმის მიხედვით. ჩვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო მყისიერად და სათანადო ხარისხით.

თვითშეფასების ანგარიში და დაკავშირებული დოკუმენტები გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს 2019 წლის 20 ნოემბერს. ყველა წევრმა მიმოიხილა მთელი დოკუმენტაცია და შეარჩია ადგილზე ვიზიტისას შესასწავლი სფეროები. უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 ნოემბერს.

გასაუბრების ძირითადი ნაწილი წარიმართა უნივერსიტეტის ცენტრალურ კორპუსში, დამატებით კი განხორციელდა ვიზიტი ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრში, როგორც უნივერსიტეტის აფილირებული კლინიკური სასწავლო ბაზა და ასევე მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსში.

ზემოთხსენებულ სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტი განხორციელდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობასთან და ასევე მოწვეულ პერსონალთან ერთად, რომლის დროსაც დეტალურად დათვალიერდა სტუდენტთა აუდიტორიები, სასწავლო ობიექტები, კლინიკური უნარების ობიექტები, ლაბორატორიები, ჰოსპიტლის სტაციონარული და ამბულატორიული განყოფილებები. მოწვეულმა პერსონალმა ამომწურავად მოუთხრო ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სტუდენტებთან მათი მუშაობისა და მხარდამჭერ გარემოში პაციენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

აფილირებულ კლინიკის და უნივერსიტეტის სასწავლო ბაზის საფუძვლიანი გაცნობის შემდგომ შეხვედრები გაგრძელდა უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში, სადაც წარიმართა ორმხრივი საუბარი უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ დასმულ ყველა კითხვაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან მიღებული იყო ამომწურავი პასუხი.
არსებული რეალობის გაცნობის და წარმოდგენილი მასალის შესწავლის შემდგომ ადმინისტრაციასთან განხილული იქნა ვიზიტის დროს ნანახი ძირითადი მიგნებები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის მიზანი რეალისტირია და მიღწევადია უსდ-ის მიერ, ამავე დროს გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია.
პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დარგის სპეციფიკურ და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებას.
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი წინაპირობები.
პროგრამა შემუშავებულია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების (დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების) წესის შესაბამისად და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
კურიკულუმის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.
პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული.
წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა არის რიგირ სილაბუსები, რომელიც მოითხოვენ გადახედვას და კორექტირებას.
პროგრამას და თვითშეფასების ანგარიშშიც ასახულია, რომ სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია ნაკლებად არსი ასახული კლინიკური როტაციეის სილაბუსებში.
სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმნეტების მიხედვით და სილაბუსებში გაწერილი კრიტერიუმით. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები ბუნდოვანია და მოითხოვს კორექტირებას.
უნივერსიტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობის და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესი.
პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა
და მოქმედ კანონმდებლობასთან.
უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით,

ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, გაფორმებულია თანამშრომლობის ლშეკრულებები სამედიცინო კლინიკებთან.
ბიუჯეტით გათვალისწიებულია პროგრამის მხარდაჭერა და მდგრადობის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები

- რიგ სილაბუსებში გადასახედია შინაარსობრივი მხარე და თემების სწავლების თანმიმდევრობა
- სილაბუსებში გასწორდეს და უფრო გასაგები გახდეს შეფასების სიტემა
- მეტი ყურადღება დაეთმოს სილაბუსების ფორმირების და ექსპერტიზის საკითხებს
- პერსონალის შერჩევა უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების კანონისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის #10 ბრძანებით დამტკიცებული მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე.
- შეიმუშავეთ უფრო მეტად დეტალური კითხვარები, რათა უკუკავშირის გზით მოხდეს არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება
- დასაკორექტირებელია კლინიკურ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები
- სილაბუსებში გასწორდეს და უფრო გასაგები გახდეს შეფასების სისტემა
- დააკორექტირეთ საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე ფაზის დეფინიცია

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი მიზანში ჩანდეს რომ პროგრამა ამზადებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტებს;
- სასურველია, შეფასდეს სხვადასხვა საგანში დამოუკიდებული მუშაობის სათების რაოდენობა და კრედიტების მოცულობა;
- სასურველია გადაიხედოს და გასწორდეს სილაბუსებში არსებული წინაპირობები (თავი 2.2);
- სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სილაბუსების ფორმირების და ექსპერტიზის საკითხებს;
- სასურველია , უნივერსიტეტი სტუდენტებს დაეხმაროს ადრევე ჩამოყალიბდნენ სამომავლო გეგმებზე და შესაბამისად ხელი შეუწყოს უცხო ენის შესწავლისათვის (გაიზარდოს გერმანული ენის და/ან ქართული ენის საათები); ან მაგ: დაემატოს USMLE მოსამზადებელი კურსები;
- სასურველია, ფაკულტეტზე ევროპულ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად დაიგეგმოს ამ ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გაცვლითიპროგრამები;
- სასურველია, მომავლისათვის, სტუდენტები მეტად იყვნენ ჩართული თვითშეფასების გუნდის მუშაობის პროცესში

- მოიყვენეთ შესაბამისობაში კრედიტ-საათების რაოდენობა მარეგულირებელ დოკუმნეტსა და საგანმანათლებლო პროგრამაში
- დარგობრივი მახასიათებლის თანახმად გამიჯნეთ, თუ რომელი სასწავლო კურესები და პროცენტული რაოდენობით წარმოადგენენ „თავისუფალ კრედიტებს“.
- შესაბამისობაში მოიყვანეთ პროგრამის ინგლისურ- და ქრთულენოვანი ვერსიები, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ოფიციალურ დოკუმენტებს .

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- განმეორებითი **აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალის მომზადება, რომელიც შეძლებს პრაქტიკაში დაეყრდნოს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებს, კვალიფიციურად გამოიყენოს კვლევითი, ეთიკური და კომუნიკაციური უნარები; შეძლოს თავი დაიმკვიდროს და პროფესიულად განვითარდეს მუდმივად ცვალებად გარემოში. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. თუმცაღა საერთშორისო სტანდარტის შესაბამის სწავლებაზე უფრო მეტი აქცენტი ვფიქრობთ რომ გასათვალისწინებელი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ვებ-გვერდი
- უსდ-ს მისია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველი მიზანში ჩანდეს რომ პროგრამა ამზადებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტებს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებუდი პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები დაფუძნებულია ზოგად/ და დარგობრივ კომპენტენციებზე და თანხვედრაშია მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან და მიღწევადია. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დარგის სპეციფიკურ და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებას.
ევროპის უნივერსიტეტის სწავლის შედეგის მიღწევის ფორმები და მეთოდები საკმაოდ ამომწურავად პასუხობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სტანდარტს. აღსანიშნავია რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში, რაც უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. ყოველივე აღნიშნულ გათვალისწიებულია უსდ-ს მიერ.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუქა, რომელიც ასახავს, თუ
როგორ ხდება შედეგების მიღწევა ცალკე აღებული მოდულების და კურსის ფარგლებში, ასევე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები.
უსდ-ს გააჩნია „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“, რის საფუძველზევ გეგმავს პროგრამის შედგების შეფასებას და შედეგების გამოყენებას პროგრამის გსაუმჯობელებლად.
ვინაიდან ჯერ პროგრმა წარმოდგენილი სახით არ ფუნქციონირებს ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ვერ მოხერხდა შედეგების მონიტორინგის შეფასება, თუმცა მიმდინარე მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მონიტორინგის დოკუმენტაცია დაწესებულებამ წარმოადგინა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ძირითადად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაზე სწავლის ძირითადი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა. პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. აბიტურიენტები აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს შემდეგ სასწავლო საგნებში: ქართულ ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; ბიოლოგია. მეოთხე საგნად აბიტურიენტი ირჩევს ერთ-ერთს შემდეგი საგნებიდან: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. საგნისათვის გამოყოფილი კვოტირებული ადგილებია შესაბამოსად - 50%, 25%, 25%. პირები, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.13.2011 №224/ნ ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ვალდებული არიან დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, ევროპის უნივერსიტეტის ,,ენობრივი კომპეტენციის წესის შესაბამისად“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და სწავლის შედეგებს. წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. ეს ინფორმაცია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან ვებგვერდზე (https://eu.edu.ge/ge).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://www.ug.edu.ge;
- ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ განხორციელებულ კვლევებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით მოხდა წარმოდგენილი ინტეგრირებული პროგრამის შემუშავება. განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც ნათლადაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 6 აკადემიური წელი - 12 სემესტრი და შეადგენს 360 კრედიტს. აკადემიური წლის ყოველი 20 კვირიანი სემესტრი

მოიცავს 30 კრედიტს, პროგრამის მიხდვით ერთი კრედიტი შეადგენს 30 ასტრონომიულ საათს , რომელთა დაახლოებით ნახევარი საკონტაქტო საათებზე მოდის, დანარჩენი კი - სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე.

საუნივერსიტეტო მარეგულრებელ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“ პუნქტი 16.4. გულიხმობს, რომ „ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელი მუშაობის საათებს“, მაშინ როდესაც მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია, რომ 1 კრედიტი მოიცავს 30 ასტრონომიულ საათს და შესაბამისად შემუშავებულია გაანგარიშებით 1 ერთი კრედიტი (ECTS)= 30 საათს.

აღნიშნული გარემოება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩაითვალა ტექნიკურ შეცდომად, ვინაიდან “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დოკუმნტის თანახმად მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე განსაზღვრულია 1 კრედიტი 30 საათი. ამიტომ სასურელია აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დაკორექტირდეს ყველა ქვემდებარე დოკუმნეტში არსებული ინფორმაცია, ვინაიდან ახლად დამტკიცებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს..“.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 ძირითად ფაზას.

პროგრამის სტრუქტურა შემდეგია:

I ფაზა - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი) – 120 ECTS , რომელიც წარმოადგენს მედიცინის საფუძვლების ფაზას და მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულებას - ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს

II ფაზა - ავადობის და ჯანმრთელობის მექანიზმები (III კურსი) – 60 ECTS . ამ ფაზაში ძირითადი ყურადღება ეთმობა შესავალს კლინიკურ მედიცინაში, კერძოდ ისწავლება პროპედევტიკა და კლინიკური უნარები, ზოგად პათოლოგიას და ფარმაკოლოგიას

IIIფაზა - ძირითადი კლინიკური კურაციები (IV-V კურსი)– 120 ECTS , წარმოადგენს კლინიკურ ფაზას, სადაც სტუდენტები ეუფლებიან ძირითად კლინიკურ საგნებს - შინაგანი მედიცინა (სისტემაზე დაფუძნებული), ქირურგია , მეანობა და გინეკოლოგია , გადაუდებელი მედიცინა , პედიატრია , ფსიქიატრია , რადიოლოგია , ოტორინოლარინგოლოგია და სხვ

IV ფაზა- გაღრმავებული კლინიკური კურაციები (VI კურსი)– 60 ECTS , პროგრამის მიხედვით წარმოადგენს „დამატებითი კლინიკური საქმიანობი“-ს ფაზას. ექსპერტების აზრით ეს ჩანაწერი დასაკორექტირებელია, ვინაიდან ის სასწავლო კურსები და თემები, რომელიც მოქცეული ამ ფაზაში არ წარმოადგნენ „დამატებით კლინიკური საქმიანობას“ და უფრო მეტიც, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის პრიორიტეტუოი მოთხოვნაა, მაგალითად სასწვლო კურსი „გერიატრია და პალიატიური მედიცინა“.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავლდებულო კომპონენტი მოიცავს 338 კრედიტს, ხოლო არჩევითი - 22 კრედიტს.

წარმოდგენილ პროგრამაში არ არის მითითებული, თუ დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, რომელი სასწავლო კურსები და რა პროცენტული რაოდენობით წარმოადგენენ „თავისუფალ კრედიტებს“.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო

ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, მოქნილია, თანმიმდევრული, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა) ხელს უწყობს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივეტისტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #3 - სასწავლო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების კვლევა;
- დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების კვლევის შედეგების გათვალისწინების დამდასტურებელი კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ბაზრის კვლევა;
- კომიტეტის მუშაობის დამადასტურებელი თანდართული დოკუმენტაცია: რექტორის 2018 წლის 16 ოქტომრის ბრძანება №93 კომიტეტის შექმნის და 2019 წლის 10 ივლისის ბრძანება №00000114 კომიტეტის შემადგენლობაში წევრების დამატების შესახებ, კომიტეტის წევრთა ხელშეკრულებები, კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://www.eu.edu.ge/ge).
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- დარგობრივი მახასიათებლის თანახმად გამიჯნეთ, თუ რომელი სასწავლო კურესები და პროცენტული რაოდენობით წარმოადგენენ „თავისუფალ კრედიტებს“.
- დააკორექტირეთ მეოთხე ფაზის დეფინიცია

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  მოიყვენეთ შესაბამისობაში კრედიტ-საათების რაოდენობა მარეგულრებელ დოკუმენტსა და საგანმანათლებლო პროგრამაში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- □ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა რიგ სილაბუსებში გაწერილი სწავლის დარგობრივი შედეგები სრულიად იდენტურია, რაც მოითხოვს რევიზიას. მაგალითად საოჯახო მედიცინა I და საოჯახო მედიცინა II. ორი თუნდაც ერთი მიმართლების სასწავლო კურსი არ უნდა გადიოდეს იდენტურ შედეგზე ცოდნის კომპეტენციით, უნდა ხდებოდეს ახალი ცოდნის დაშენება და გარღმავება.

პროგრამის სასაწავლო კურსებს სემესტრების შესაბამისად გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამის სასწავლო გეგმაში არჩევით საგნების ჩამონათვალში (ყველა სასწავლო კურსზე ვრცელდება ეს ჩანაწერი) მითთებლია წინაპირობები, სადაც ვერ ხერხდება იმის იდენტიფიცირება, თუ რომელ კურსს რა წინაპირობა გააჩნია.

სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა და აღნიშნული სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებს, სილაბუსებში სასწავლო მასალები ვიზიტის დროს ნანახი იქნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. თუმცა სილაბუსში "გერიატრია და პალიატიური მედიცინა" არ არის მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც უკავშირდება პალიატიურ მედიცინას.
სასწავლო კურსის თემატიკა დაძლევადია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში კურსისთვის დათმობილი სათანადო მოცულობის სამუშაო საათებით და სილაბუსში ლექტორის მიერ განსაზღვრული სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდებით.

ზოგიერთ სილაბუსში თემატიკების თანამიმდევრობა შეუსაბამოა, მაგალითად ქირურგია I-ის პირველ კვირაში ზოგად საკითხებთან ერთად ისწავლება ენდოსკოპიური უროლოგიური ოპერაციები. მეორე კვირას კი ზოგად ქირურგიაში ისწავლება ენდოსკოპიური ქირურგიის ზოგადი საკითხები. სასურველი იქნებოდა, სტუდენტი ჯერ გაცნობოდა ენდოსკოპიური

ქირურგიის ზოგად პრინციპებს და მხოლოდ შემდეგ კერძო ქირურგიულ ან მომიჯნავე ქირურგიული პათოლოგიების ენდოსკოპიურ ოპერაციებს.

საყურადღებოა დამოუკიდებელი საათებისთვის დათმობილი საათების საერთო ჯამის დიდი პროცენტული წილი. მაგალითად „კლინიკური დიაგნოსტიკა 1“ , სასურველია საათების დისტრიბუციის გადახედვა, დამოუკიდებელი საათების დიდი წილი და აქედან გამომდინარე მაღალი საკრედდიტო ქულა, მისი გაფლანგვის ან უმიზნოდ გამოყენების ეჭვს ბადებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #3 - სასწავლო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სილაბუსებში მითითებული ბეჭდური სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მეტი ყურადღება დაეთმოს სილაბუსების ფორმირების და ექსპერტიზის საკითხებს
- რიგ სილაბუსებში გადასახედია შინაარსობრივი მხარე და თემების სწავლების თანმიმდევრობა
- რიგ სილაბუსებში დასაკორექტირებელია სწავლის შედეგები
- სასწავლო კურსებში მისათითებელია სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც გათვალისწინებულია კურსის შინაარსით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს სხვადასხვა საგანში დამოუკიდებული მუშაობის საათების რაოდენობა და კრედიტების მოცულობა;
- სასწავლო გეგმაში გასასწორებელია არჩევითი საგნების წინაპირობები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

□ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქ-მედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით სტუდენტების განვითარებას ემსახურება კვლევითი კომპონენტი, რომელიც სავალდებულო კომპონენტადაა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამაში.

აღნიშნული კომპონენტი აერთიანებს რამდენიმე სასწავლო კურსს, რომლებიც იწყება სწავლების პირველივე კურსიდან და გვხვდება მომდევნო კურსებზეც სწავლების მე-6 კურსის ჩათვლით. ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნული სავალდებულო კომპონენტისთვის 360 კრედიტიდან განკუთვნილია ჯამში 30 კრედიტი (900 საათი, მათ შორის 392 საკონტაქტო საათი) და წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსებით:

- სამეცნიერო მსჯელობა (Scientific Reasoning) – 9 კრედიტი (270 სთ., მათ შორის 126 საკონტაქტო სთ.)
- მედიცინა და საზოგადოება (Medicine and Society) – 17 კრედიტი (510 სთ., მათ შორის 222 საკონტაქტო სთ.)
- კომუნიკაცია ჯანდაცვაში (Health Communication) – 4 კრედიტი (120 სთ., მათ შორის 44 საკონტაქტო სთ.)

სტუდენტები სწავლობენ კვლევის მეთოდოლოგიას, შედეგების ანალიზს, შედეგების პრეზენტაციას და სამეცნიერო ნაშრომების წერის სპეციფიკას, ასევე, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ კვლევითი პროექტები და/ან მოამზადონ სტუდენტური ნაშრომები, პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში, დაეუფლონ და რეალურ სიტუაციებში გამოიყენონ ტრანსფერული უნარები: გუნდურობა, ლიდერობა, ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარები; კრიტიკული აზროვნება, ანალიზი, სინთეზი და სხვა. სტუდენტები იღებენ ბაზისურ ცოდნას სამეცნიერო კვლევის ტიპებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ეცნობიან როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს. იღებენ ინფორმაციას და ცოდნას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკური პრინციპების შესახებ. აღნიშნული სასწავლო კურსების მიზნებს წარმოადგენს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის მიცემა. სწავლის პროცესში სტუდენტებს უვითარდებათ სამეცნიერო

ბაზებში რელევანტური და ვალიდური ლიტერატურის მოძიების პრაქტიკული უნარები, მოძიებული ინფორმაციის კრიტიკულად წაკითხვის, ანალიზის, სინთეზის, შეფასებისა და ინტეგრაციის უნარი, ეუფლებიან ციტირებისა და ნაშრომის აკადემიური ფორმატით წარდგენის უნარს და ა.შ. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ თავადაც დაგეგმონ და განახორციელონ კვლევითი პროექტები, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. აღნიშნული სასწავლო

კურსები პროგრამის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფილია ყველა სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო კვლევით პროექტში ინდივიდუალური ან ჯგუფური სახით.

სტუდენტურ კვლევით პროექტებსა და ნაშრომებზე მუშაობას ხელმძღვანელობს აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი, რომელსაც მიჰყავს ხსენებული სასწავლო კურსები. პედაგოგებად შერჩეულია პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ როგორც კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე სამეცნიერო ნაშრომების მომზადება-გამოქვეყნების მრავალწლიანი გამოცდილება. მოთხოვნები აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის მიმართ განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ როგორც ევროპის უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სტუდენტებისთვის ტარდება გასვლითი სამეცნიერო კონფერენციები, მაგ. 2019 წლის 15 ივნისს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ევროპის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა წარადგინეს მოხსენებები (იხ. https://eu.edu.ge/ge/news/1141-evropis-universitetma-sastumro-kompleks-bazaletshi-mekhute-studenturi-saertashoriso),

ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელიც როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვის სტიმულირებას.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აქტივობები გაწერილია ევროპის უნივერსიტეტის 2019-21 წლების სამოქმედო გეგმაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის ლაბორატორიული და კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო კურსს: კლინიკური და პროფესიული უნარები (Clinical and Professional Skills), რომელიც სავალდებულო საგანია, ისწავლება პირველივე სემესტრიდან ბოლო სემესტრის ჩათვლით და პროგრამის 4 792 საკონტაქტო საათიდან ეთმობა 556 საკონტაქტო საათი (36 კრედიტი).

ტრანსფერული უნარების განვითარების უზრუნველყოფა ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: პირველი - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და კლინიკური შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL - case based learning), რომელიც უზრუნველყოფს შესასწავლი მასალის/საკითხების გაანალიზებას და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარის განვითარებას. მეორე - სასწავლო სიმულაციური სიტუაციების შექმნა მულაჟების/მანეკენების საშუალებით და რეალურ კლინიკურ სიტუაციებში სტუდენტთა ჩართვა.

პროგრამის მონიტორინგისა და სწავლის შედეგების შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტის მიერ სისტემატურად ხდება პროგრამის კორექტირება და მისი ადაპტირება ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ევროპის უნივერსიტეტის მისია და ხედვა;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რაგირების პროცესი და მექანიზმები;
- ევროპის უნივერსტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის დებულება;
- ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია;
- ევროპის უნივერსიტეტის 2019-21 წლების სამოქმედო გეგმა;
- ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის დებულება;
- თანამშრომლობის მემორანდუმები 36 სამედიცინო კლინიკასთან;
- სტუდენტური კონფერენციების შესახებ ანგარიში
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://www.eu.edu.ge/ge).
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთო-დები,

პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის ფორმები: ინტერაქტიული მეცადინეობები, სემინარი/ჯგუფური (გუნდური) მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა,

კლინიკური პრაქტიკა/სწავლება ავადმყოფის საწოლთან, დისკუსია, დებატები, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლება, მცირე კვლევების ჩატარება. გარდა აღნიშნულისა გამოიყენება ისეთი ტრადიციული მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია-სემინარი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ვიდეო-აუდიო სწავლების მეთოდი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდი, პრობლემების აქტიური ანალიზის მეთოდია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სამეცნიერო კვლევაში ჩართულობა. მიუხედავად პროგრამასა და თვითშეფასებაში მითითებული სწავლების მეთოდების მრავავალფეროვნებისა, სილაბუსებში არ არის ასახული სწავლების აღნიშნული მეთოდებიუნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს კლინიკურ სასწავლო კურსს, რომელიც წარმოადგენს კლინიკურ კურაციას, სწავლების მეთოდებად „კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილების სვეტში“ მითითებულია ლექციები/სემინარები (საკონტაქტო საათები): გერიატრია და პალიატური მედიცინა - 6/60. აღნიშნული ინფორმაცია მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კლინიკური (პრაქტიკულისწავლება) არ მოიაზრება სასწავლო კურსის ფარგლებში. იგივე ვითარებაა სილაბუსებში „რეაბილიტაცია“, „ქირიგია III”, „გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია I“
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • დასაკორექტირებელია კლინიკურ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა □ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ით (2007.05.01) განსაზღვრულ შეფასების 100 ქულიანი სისტემას და გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორ სახის უარყოფით შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის არაუმეტეს საერთო შეფასების 40 %-ისა.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8 კვირაში (კურაციული სწავლების დროს შუალედური გამოცდის პერიოდი დაკონკრეტებულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში). შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების კომპონენტების დაზუსტება. კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია:

ა) დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50% + 1.

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და შეფასების სტრუქტურა ეფუძნება კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის შედეგებს. ლექციებზე საქმიანობისა და ჯგუფების მუშაობის შეფასება, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები შეიძლება განსხვავდებოდეს კურსისა და ლექტორის მიერ მისი ჩატარების სპეციფიკით. სასწავლო პროცესში სტუდენტის უწყვეტი შეფასების პროცედურა, ფორმები, შეფასება და კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკის საფუძველზე კურსის პროფესორის მიერ.

შუალედური შეფასებების დროს გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ფორმები: ესსე, ქვიზი/კომბინირებული ტესტი/კითხვარი, კლინიკური შემთხვევის განხილვა, ზეპირი მოხსენება , Power Point პრეზენტაცია, კლინიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების ანალიზი, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

თუმცა შეფასების სისტემა ზოგიერთ სილაბუსში ბუნდოვანია და სტუდენტისათვის რთულად გასაგები. მაგალითად სილაბუსის „კლინიკური რადიოლოგია“, შეფასების სისტემაში აღნიშნული ჩამონათვალი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შეფასებას, მათ შორის არის შულაედური

გამოცდა - 20 ქულა (10 ქულა ტესტები მრავალი არჩევითი პასუხით/10 ქულა მოკლე პასუხიანი შეკითხვა), ამავე დროს შეფასების კრიტერიუებში ჩაშლილია ინფორმაცია, რომ შუალედური გამოცდა – ჩატარდება მინი-OSCE ფორმატით, რომელიც წარმოდგენილი იქნება 4 პრაქტიკული გამოცდის სახით. თითოეული პრაქტიკული დავალება შეფასდება 5 ქულით, სულ 20 ქულით. ამავე სილაბუსში გაუგებარია მოკლე პასუხიანი შეკითხვები შეფასების კრიტერიუმების 100 ქულიანი ჩაშლა, რაც საერთო შეფასების რა ნაწილია ვერ დგინდება.

სილაბუსების შინაარსი და ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემის შესახებ დეტალები ეცნობა სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. სილაბუსი მიეწოდება სტუდენტს სასწავლო კურსის ფარგლებში ჩატარებულ პირველივე შეხვედრაზე. სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და სამართლიანი ყველა სტუდენტისთვის. შეფასების პროცედურები რეგულირდება უსდ-ს საგამოცდო ცენტრის დებულების თანახმად: სტუდენტის სახელი და გვარი დაშიფრულია და ლექტორისთვის არ არის ცნობილი თუ ვისი ნაშრომის შეფასება ხდება. სასწავლო კურსის ლექტორი სტუდენტს აძლევს უკუკავშირს მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით საგამოცდო ცენტრთან კოორდინაციით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს წერილობით, შედეგების გასაჩივრების მიზნით. მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებულ დასკვნას. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს:

ა) დარგის სპეციალისტი აკადემიური პერსონალი;
ბ) დარგის სპეციალისტი მოწვეული პერსონალი;
გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;
დ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;
ე) ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ევროპის უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში გასწორდეს და უფრო გასაგები გახდეს შეფასების სისტემა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა □ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

ევროპის უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სწავლის, ასევე სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე .

ევროპის უნივერსიტეტს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მისი შეჩერების და/ან შეწყვეტის, სტატუსის აღდგენის, განათლების აღიარების, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების საკითხები რეგულირდება დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 28 თებერვლის #28 ბრძანებით . დოკუმენტები განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.eu.edu.ge) და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ასევე დაინტერესებული პირებისათვის. მედიცინის ფაკულტეტზე მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სადაც ხდება ყველა სტუდენტის და ყველა სასწავლო კურსის რეგისტრაცია ლექტორებისა და სასწავლო ჯგუფების მიხედვით, ასევე ამ პლატფორმაზე განთავსებულია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სტუდენტებს საშუალება აქვთ თვალი ადევნონ შეფასებებს და საკუთარ აკადემიურ მიღწევებს.ევროპის უნივერსიტეტში 2018-2019 წლის აკადემიური წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ცენტრი შეიქმნა სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. <u>თუმცა, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან გასაუბრებისას, არ გამოიკვეთა მათი მყარად ჩამოყალიბებული სამომავლო გეგმები.</u>

სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით ევროპის უნივერსიტეტში მუშაობენ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის ტარდება დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები, კვირაში ორი საათის ხანგრძლივობით. საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი დგება ყოველი სემესტრის დასაწყისში და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას ამ შეხვედრების თაობაზე. შეხვედრების განრიგი განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე.

მედიცინის ფაკულტეტის მიერ სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ადგილობრივი თუ უნივერსიტეტგარე ღონისძიებების, პროექტებისა და კონფერენციების შესახებ ინფორმირება ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით (საინფორმაციო დაფაზე განთავსებული განცხადებები, ელექტრონული მეილები, ვებ- გვერდი, სოციალური ქსელი და სხვა), <u>თუმცა, სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ ძირითად ინფორმაციას ლექტორებისგან ან უშუალოდ დეკანისაგან იგებენ.</u>

დამატებით, მედიცინის ფაკულტეტზე 2018-2019 სასწავლო წელს შეიქმნა კომუნიკატორის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს მედიცინის ფაკულტეტის თითოეული ჯგუფიდან ორი სტუდენტისაგან შემდგარ გაერთიანებას. მათ ფუნქციებს წარმოადგენს: ფაკულტეტზე მიმდინარე ცვლილებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად და მყისიერად მიწოდება შესაბამისი ჯგუფებისათვის; ასევე სტუდენტების წინადადებებისა და შენიშვნების ეფექტურად და მყისიერად მიწოდება ფაკულტეტის დეკანისათვის; ასევე, სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება . მედიცინის ფაკულტეტზე, ასევე 2018-2019 წლიდან შეიქმნა ტუტორისა და ლექტორის თანაშემწის პოზიციები. ტუტორის ფუნქციები მოიცავს სტუდენტის/სტუდენტების პირადი და პროფესიული განვითარების, სხვადასხვა უნარ-ჩვევების შეძენასა და ზოგადად თვითგანვითარებისათვის ხელშეწყობას, კარიერული განვითარებისათვის ხელშეწყობას, ასევე, სტუდენტების აკადემიური და ინდივიდუალური მიღწევების ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით

ლექტორის თანაშემწის პოზიციის შექმნის მიზანია ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის შესაძლებლობის მიცემა, ლექტორთა დახმარების პროცესში უკეთ გაეცნონ თემას/საგანს, შეიძინონ სწავლების, კომუნიკაციის, სტუდენტების შეფასების და სხვა უნარები. ამ პოზიციისათვის შერჩევა ხდება მაღალი კურსის

სტუდენტებისაგან, რათა ისინი დაეხმარონ დაბალკურსელებს იმ სიძნელეთა და პრობლემათა დაძლევაში, რომლებიც მათ უკვე გაიარეს.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით უკვე გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები ყაზახეთის, კორეის, უკრაინის და

თურქეთი სხვადასხვა შემდეგ უნივერსიტეტებთან. ჯერ გაცვლითი პროგრამები ამ უნივერსიტეტებთან არ განხორციელებულა, თუმცა 2020 წლის ზაფხულში იგეგმება სტუდენტების გაცვლა ოთხივე პარტნიორ უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით, სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა თუ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებში.

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების ექსტრაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის წახალისების მიზნით, შემუშავდა სტუდენტთა აქტივობის კონკურსის წესი რომლის თანახმადაც ექსტრაკურიკულურ აქტივობებში (საერტაშორისო კონფერენციები, პოსტერის მომზადება, ლექტორის ასისტირება და ტუტორობა და ა.შ) ჩართული ყველაზე აქტიური 3 სტუდენტი მიიღებს სემესტრულ სტიპენდიას.

სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით აირჩიონ სასურველი დრო და ისარგებლონ ვირტუალური ლაბორატორიითა და სიმულაციური ოთახით, აღნიშნული ცვლილება განხორციელდა სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იქნა სტუდენტთა მოთხოვნებისა და საჭიროებები იმ კუთხით, რომ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო სტუდენტების უმეტესობა გეგმავს გერმანულენოვან ქვეყნებში დასაქმებას, ამიტომ სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში არჩევით საგნად შეტანილია გერმანული ენა (4 კრედიტი / 60 საათი). თუმცა, ეჭვის ქვეშ დგას თუ რამდენად საკმარისია 60 საათი გერმანული ენის პროფესიონალურ დონეზე შესასწავლად.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სტუდენტებს ურთიერთობა უწევთ კლინიკებში ქართულენოვან პაციენტებთან, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას, კომუნიკაციური უნარების

გაძლიერების მიზნით, რაც მათი პრაქტიკული საქმიანობისათვის და პაციენტთან უერთიერთობისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, სასწავლო გეგმაში 120 საკონტაქტო საათი და, შესაბამისად, 8 კრედიტი ეთმობა ქართულ ენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;

საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #3 - სასწავლო გეგმა;

ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ევროპის უნივერსიტეტის დებულება;

ევროპის უნივერსიტეტის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

საკონსულტაციო შეხვედრების 2019-20 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის განრიგი;

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კომუნიკატორის დებულება;

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ტუტორის დებულება;

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ლექტორის თანაშემწის დებულება;

საერთაშორისო ურთიერთობების (გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებული) თანამშრომლობის მემორანდუმები;

საერთაშორისო ურთიერთობებისა და აქტივობების შესახებ ანგარიში;

ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა (https://eunsis.eun.edu.ge/);
ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://www.eu.edu.ge/ge).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია , უნივერსიტეტი სტუდენტებს დაეხმაროს ადრევე ჩამოყალიბდნენ სამომავლო გეგმებზე და შესაბამისად ხელი შეუწყოს უცხო ენის შესწავლისათვის (გაიზარდოს გერმანული ენის და/ან ქართული ენის საათები); ან მაგ: დაემატოს USMLE მოსამზადებელი კურსები.
- სასურველია, ფაკულტეტზე ევროპულ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად დაიგეგმოს ამ ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გაცვლითიპროგრამები.
- სასურველია, მომავლისათვის, სტუდენტები მეტად იყვნენ ჩართული თვითშეფასების გუნდის მუშაობის პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
[ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
[ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
[ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს **იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებუღი პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა □ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის გამხორციელებაში ჩართულია 173 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 74 აკადემიური პერსონალი და 99 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 13 პროფესორია (მათ შორის 11 აფილირებული პროფესორი), რაც პროგრამის განხორციელებაში ჩართული მთლიანი პერსონალის 8 %-ია; 25 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 8 აფილირებული ასოცირებული პროფესორი), რაც მთლიანი პერსონალის 15%-ია. სულ აკადემიური პერსონალი პროგრამის განხორციელებაში ჩართული მთლიანი პერსონალის 43% - ია, ხოლო მოწვეული პერსონალი 57 - %.
აკადემიური პერსონალი შერჩეულია უმაღლესი განათლების კანონისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის #10 ბრძანებით დამტკიცებული მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე. თუმცა, რიგ შემთხვევაში, პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შემდეგ, დაფიქსირდა დარგობრივ მახასიათებლებზე აცდენა, კერძოდ, <u>ყველა კლინიკური საგნის ლექტორს არ აქვს მინიმალური 5 წლიანი დამოუკიდებელი კლინიკური მოღვაწეობის გამოცდილება.</u>

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა შემუშავებულია დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა და დატვირთვის გადანაწილება ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 9 ოქტომბრის #89 ბრძანებით), რომლის თანახმადაც ევროპის უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ პოზიციაზე დაშვებულია სემესტრში მაქსიმუმ 270 აკადემიური საათი (კვირაში საშუალოდ 18 აკადემიური საათი), ასოცირებული პროფესორის აკადემიურ პოზიციაზე - სემესტრში მაქსიმუმ 315 აკადემიური საათი (კვირაში მაქსიმუმ 21 აკადემიური საათი), ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე 360 აკადემიური საათი (კვირაში მაქსიმუმ 24 აკადემიური საათი) (დეტალებისთვის იხ. თანდართული დოკუმენტი - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია).
აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ასევე ითვალისწინებს სტუდენტებთან

საკონსულტაციო საათებსაც, კერძოდ, 2 საათს კვირაში.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. პერსონალის ჩართულობა უკავშირდება ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურის შეფასება, პროგრამის კომპონენტების სემესტრული განაწილება, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა, თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფასება. ყველა ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაციებისა და რჩევების პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად განხილვა და გაზიარება ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის უშუალო მონაწილეობით. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილი კომიტეტის წევრები შერჩეულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან, შესაბამისად, კომიტეტის სისტემატური შეკრებები და პროგრამის განხილვა კომიტეტის წევრების მიერ, უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებაში პერსონალის მუდმივ და აქტიურ ჩართულობას .
პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი გარდა სასწავლო პროცესისა, აქტიურად მონაწილეობს ექსტრაკურიკულურ აქტივობებში,
აფილირებული პერსონალიდან წარმომადგენლები მიზნობრიობის გათვალისწინებით და/ან როტაციის პრინციპით მუდმივად არიან შესარჩევი ან შეფასების კომისიის წევრები, რომელთა მიზანი სხვადასხვა კონკურსში მონაწილე საუკეთესო სტუდენტ(ებ)ის გამოვლენაა.
დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგია: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში: დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა - 21, ახალი აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 84. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში: დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა - 20, ახალი პერსონალის რაოდენობა - 103.
აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაშიც (კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობა, სტუდენტურ კონფერენციაზე წარსადგენი თემის ხელმძღვანელობა; საკონკურსოდ წარდგენილი სტუდენტური ესსეების/აბსტრაქტების/ნაშრომების განხილვა და შეფასება და სხვა საქმიანობები); აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სათანადოდ აფასებს აღნიშნულ ექსტრაკურიკულურ საქმიანობაში აკადემიური პერსონალის მონაწილეობას და აჯილდოვებს მათ (მაგ. მადლობის სიგელები).
დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტთა მომსახურების მიზნით ჩართულია ევროპის უნივერსიტეტის
ადმინისტრაცია, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანი, დეკანის ორი მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი (4 თანამშრომელი), სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები (5 თანამშრომელი), სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მენეჯერი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით (1 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (3 თანამშრომელი), საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (2 თანამშრომელი), ჯამში 24 ადმინისტრაციული პერსონალი .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო

პროგრამა; პროგრამის დანართი #4 - პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი;

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები), სერტიფიკატები, პუბლიკაციების სია;
- პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმეები, პუბლიკაციების სია და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დიპლომები;
- საკონსულტაციო შეხვედრების 2019-20 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის განრიგი ევროპის უნივერსიტეტის საშტატო განრიგი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების დამადასტურებელი კომიტეტის სხდომის ოქმები;
- პროგრამის კომიტეტის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: 2018 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება #93 კომიტეტის შექმნის შესახებ და 2019 წლის 10 ივლისის ბრძანება #00000114 კომიტეტის წევრების დამატების შესახებ, ასევე, კომიტეტის შემადგენლობა, კომიტეტის წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, კომიტეტის წევრების რეზუმეები და კომიტეტის სხდომის ოქმები;
- მედიცინის პროგრამის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა საერთაშორისო ურთიერთობებისა აქტივობების შესახებ ანგარიში; ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://www.eu.edu.ge/ge).
-

რეკომენდაციები

- პერსონალის შერჩევა უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების კანონისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის #10 ბრძანებით დამტკიცებული მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებუღი პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

□ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
□ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- **დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;**

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის როგორც პედაგოგიური(შემესტრულად), ასევე კვლევითი(წლიურად) საქმიანობის შეფასებას.
სემესტრული შეფასება ხდება დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, საგამოცდო ცენტრისა და სტუდენტის მიერ.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.
ყოველი აკადემიური წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახდენს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებას. აკადემიური პერსონალი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს წარუდგინოს აკადემიური საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ნაშრომების, პუბლიკაციების, განხორციელებული პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის თითოეული კომპონენტისთვის ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრულია შესაბამისი ქულა .
ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური
საქმიანობის შეფასება ხდება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციის შესაბამისად, აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების საფუძველზე, ყოველწლიურად ფაკულტეტების მიხედვით ხდება ქულათა რანჟირება, რის საფუძველზეც, წახალისების მიზნით, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის ხდება ფულადი ჯილდოს (I ადგილი - 3000 ლარი, II - ადგილი - 2000 ლარი, III ადგილი - 1000 ლარი) გადაცემა. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება არააფილირებული აკადემიური პერსონალის მიმართ, რომლის შემთხვევაშიც ქულათა რანჟირება ხორციელდება აფილირებული აკადემიური პერსონალის შედეგებისგან დამოუკიდებლად.
ასევე, მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის (წლიური) შეფასების შედეგების საფუძველზე ფაკულტეტების მიხედვით ხდება ქულათა რანჟირება, რის საფუძველზეც, წახალისების მიზნით, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე მოწვეული პერსონალისთვის ხდება ფულადი ჯილდოს (I ადგილი - 2000 ლარი, II - ადგილი - 1500 ლარი, III ადგილი - 1000 ლარი) გადაცემა.
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: აფილირებული პროფესორისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში სავალდებულოა ყოველწლიურად მინიმუმ 50 ქულის დაგროვება, პროფესორის შემთხვევაში - 30 ქულის, აფილირებული ასოცირებული პროფესორისთვის - ყოველწლიურად მინიმუმ 40 ქულის დაგროვება, ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში - 25 ქულის, აფილირებული ასისტენტ-პროფესორისთვის - ყოველწლიურად მინიმუმ 30 ქულის დაგროვება, ასისტენ-პროფესორის შემთხვევაში 20 ქულის, აფილირებული ასისტენტისთვის - მინიმუმ 20 ქულის დაგროვება, ასისტენტის შემთხვევაში - 10 ქულის.
აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის

განსაზღვრულ მინიმალურ ქულათა რაოდენობა. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის განხილვა ხორციელდება, ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება. უნდა აღინიშნოს, რომ 2018-2019 აკადემიური სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ სასწავლო კურსებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი სამ საუკეთესო ლექტორს პრიზის სახით უკვე გადაეცა ვაუჩერები, რომლითაც ისინი შეძლებენ ინტერესის შესაბამისად, საკუთარი პროფესიული განვითარების ტრენინგის დაფინანსებას. დაჯილდოვება გაიმართა 2019 წლის 15 მაისს, დაჯილდოვების ცერემონიაზე მოწვეული იყვნენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, სტუდენტები .

უნივერიტეტში სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვების მიზნით იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენელი, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი. პერსონალის ურთიერთადასწრება (Peer Review) ხორციელდება კოლეგებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. (იხ. თანდართული 2018-19 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის ანგარიში - სააუდიტორო მუშაობის შეფასება).

ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სისტემატურად ტარდება ტრენინგები, ვორკშოფები როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტებისა და ტრენერების მიერ (იხ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ ანგარიში). აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში მედიცინის ფაკულტეტზე გამოყოფილია 40 000 ლარი .

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში, ისინი აქვეყნებენ სამეცნიერო პუბლიკაციებს რეფერირებად გამოცემებში და მათი თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან ხელს უწყობს ევროპის უნივერსიტეტის ზოგადად და კონკრეტულად, მედიცინის ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციას. რამდენიმე კვლევითი პროექტი დაიგეგმა, განხორციელდა და წარდგენილ იქნა, ან იგეგმება წარდგენა სხვადასხვა საერთაშორისო, ევროპულ ან მსოფლიო სამეცნიერო კონგრესზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებშიც, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ევროპის უნივერსიტეტში დაფუძნებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, რომლის ამოცანაა სწავლების თანამედროვე მეთოდების მოძიება მათი სწავლების პროცესში დანერგვის მიზნით, როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის სისტემატური ტრეინინგ-კურსების ორგანიზება; ადგილობრივი ტრენერების უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან შერჩევა და მომზადება მინიმალური დაფინანსებისა (3000, 2500, 2000, 1500 ლარი), უფინანსებს კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას, მისი მიმართვის საფუძველზე.

აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, მედიცინის ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 60 000 ლარი, რომელიც მიემართება სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელებისათვის . 2019

წლის ივნისში გამოცხადებული კვლევითი პროექტების დაფინანსების კონკურსის შედეგად გამოვლინდა ორი გამრჯვებული პროექტი. აღსანიშნავია, რომ ორივე პროექტი განხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების კითხვარი; სტუდენტთა გამოკითხვის (ლექტორების შეფასება) შედეგების ანგარიში; პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი; პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის დანართი #1- პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა; პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის დანართი #2 - აკადმიური პერსონალის წლიური შეფასების ფორმა; პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის დანართი #3 - მოწვეული პერსონალის წლიური შეფასების ფორმა; პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები საჩვენებელი ლექციის შეფასების ფორმა; უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი ფაკულტეტების მიხედვით; 2018-19 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის ანგარიში - სააუდიტორო მუშაობის შეფასება; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია; საერთაშორისო ურთიერთობებისა და აქტივობების შესახებ ანგარიში; ევროპის უნივერსიტეტის დებულება; შეთანხმების ნიმუში აფილირების შესახებ; ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შპს „ვროპის სამედიცინო უნივერსიტეტის“ საკუთრებაში არსებულ შენობაში, რომელიც იჯარით დროებით საკუთრებაში 2027 წლამდე აქვს გადაცემული შპს „ევროპის უნივერსიტეტს“. აღნიშნული კორპუსი აღჭურვილია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი ინფრსატრუქტურითა დაა სასწავლო ინვენტარით, რომელსაც ითვალისწინებს მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი. მათ შორისაა სიმულაციური ცენტრი, OSCE-ს საგამოცდო სადგურები, ასევე კარგად აღჭურვილი ბიოქიმიური ლაბორატორია. კლინიკური საგნების სწავლება მიმდინარეობს აფილირებულ კლინიკებში. კლინიკური სასწავლო კურსები ხორციელდება 46 სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე, რომლებთანაც შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით კონკრეტულადაა განსაზღვრული სტუდენტთა გამტარობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ში არსებულ საბიბლიოთეკო რესურსებს. სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა თავის სამკითხველო დარბაზით, აღჭურვილია სათანადო რაოდენობის კომპიუტერებით, დაგეგმილია ბიბლიოთეკის სივრცის გაფართოება. წიგნადი ფონდი წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს ინგლისურენოვანი მედიცინის ერთსაფეხურიანი საგნმანათლებლო პროგრმის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომ ელექტრონულ ბაზებს და დარწმუნდა რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს აქვთ ბაზების შესახებ ცოდნა, შეუძლიათ დახმარების გაწევა. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული ბაზები: EBSCO EP Package ELIT, EBSCO eBOOK Clinical Collection და eLFL , ასევე Elsevier - ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაში შემავალი შემდეგი ბაზები: scorpus, Sciencedirect და Funding Institutional (SciVal FundingTM).

უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი ფუნქციონირებს და მასზე ატვირთულ მასალებს სტუდენტები იყენებენ სასწავლო მიზნებისათვის,

უსდ-ს ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, სასწავლო და რეკრეაციულ ზონებში დაცულია უსაფრთხოების წესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ხელშეკრულებები აფილირებულ კლინიკებთან და სამეცნირო ბაზებთან
- ელექტრონული ბაზებზე წვდომის ხელშეკრულებები
- ფაქტობრივი მდგომარეობა (სიმულაციური ცენტრი, ლაბორატრიები, ბიბლიოთეკა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
უსდ-ს გააჩნია „ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“, რომლის შესაბამისად შემუშავებულია და დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 5 დეკემბრის #109 ბრძანებით 2019 წლის ბიუჯეტი, სადაც დეტალურადაა გაწერილი საფინანსო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტში ფინანსური გეგმა წარმოდგენილია ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილში საგანმანათლებლო ერთეულების მიხედვით, მათ შორის მედიცინის შემოსავალი წარმოადგენს 9564000, აქედან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გამოყოფილია 60.000 ლარი, ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისოურთიერთობები - 60.000 ლარი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება და ხელშეწყობა - 180 000 ლარი, საბიბლიოთეკო ფონდი (წიგნები და ელექტრონული ბაზები - პროგრამების მიხედვით) – 50 000 ლარი. წარმოდგენილი ბიუჯეტის და ფაქტობრივი მდგომარეობის თანახმად შეიძლება ითქვას, რომ უსდ უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ევროპისუნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი • ფაქტობრივი მდგომარეობა • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“-ს დებულების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურაშიც შედის პროგრამების განვითარების სამსახური.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება (საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი და სასწავლო პროცესი);

ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და ანალიზი;

გ) მართვის პასუხისმგებლობა - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფა.

ხარისხსი უზრუნველყოფის დეპარტამენტი აფასებს პროგრამას, ახდენს ნაკლოვანებების იდენტიფიცირებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გაუმჯობესების მიზნით გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ ხდება პროგრამის განმეორებითი შეფასება

ვიზიტის ფარგლებში ნანახი იქნა ჩატარებული კვლევები, კერძოდ შესაბამისი კითხვარები და მათი ანალიზი.

ვიაიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციაა საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული ინფორმაციის მარეგულირებელ დოკუენტაბთან თანხედრაში ყოფნა, უნდა აღინიშნოს რომ დოკუმენტაციის გაცნობისას იდენტიფიცირებული იქნა, რომ საუნივერსიტეტო მარეგულრებელ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“ პუნქტი 16.4. გულიხმობს, რომ „ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელი მუშაობის საათებს“ , მაშინ როდესაც მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია, რომ 1 კრედიტი მოიცავს 30 ასტრონომიულ საათს და შესაბამისად შემუშავებულია გაანგარიშებით 1 ერთი კრედიტი (ECTS)= 30 საათს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- კითხვარები
- გასაუბრების შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- მეტი ყურადღება დაეთმოს დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმბას და მათ ხარისხს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

□ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[redacted] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, წარმოადგენს ძირითაად გარე შემფასებელს, რომელსაც უსდ ყოველწლიურად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების წლიური ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად.

ინგლისურენოვან მიედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია პირველად მიენიჭა 2014 წლის 13 დეკემბერს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (იხ. თანდართული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 13 დეკემბრის #272 გადაწყვეტილება).

საგანმანათლებლო პროგრამებისა და მთლიანად უნივერსიტეტის ხარისხის გარე შეფასების მიზნით, ევროპის უნივერსიტეტი გეგმავს აკრედიტაციისა და რეიტინგის დამოუკიდებელი სააგენტოს (Independent Agency for Accrediation and Rating - IAAR) მიერ უნივერსიტეტის ინსტიტუციურ აკრედიტაციას (ავტორიზაციას) და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციას. აღნიშნული სააგნტოს წარმომადგენლები 2018 წლის დეკემბერში იმყოფებოდნენ ევროპის უნივერსიტეტში და ჩაატარეს ტრენინგები უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის აკრედიტაციის პროცესებისთვის მათი მომზადების მიზნით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ESG სტანდარტების შესაბამიუსად“ და „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა WFME სტანდარტების შესაბამისად“. გასაუბრებისას ასევ დადგინდა, რომ პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მიზნით დიპლომირებული მედიკოსის

ინგლისურენოვანი პროგამის შემუშვებისა და განახლების პროცესში ჩართული იყო გარე (თურქი) ექსპერტები. მათ მიერ ხდებოდა პროგრამის სტრუქტურის შეფასება და პროგრამის ინტეგრაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და რჩევების გაზიარება.
2019 წლის აგვისტო-სექტემბერში ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამის შეფასება მოხდა საერთაშორისო ექსპერტისა და Maastricht-ის უნივერსიტეტის პროფესორის - Dr. H.F.P. Hillen-ის მიერ

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის 2019 წლის 15 სექტემბრის შეფასება საერთაშორისო ექსპერტის მიერ
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასბის ანგარიში
- პროგრამის შემუშავების პროცესში გარე ექსპერტების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებუღი პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ ხდება დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება პროგრამაში სათანადო ცვლილებები და შესაბამისად პროგრამის დახვეწა. ვინიადან წაარმოდგენილი პროგრამა, რომელმაც განიცადა მნიშვნლოვანი ცვლილებები და მოდიფიცირდა დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად და ამ ეტაპზე ჯერ არ ფუნქციონირებს, მიუხედავად იმისას, რომ დამტკიცებულია დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 ოქტომბრის #87 ბრძანებით. მისი აქედან გამომდინარე პროგრამის მიმდინარეობის და შედეგების მიღწევის მონიტორინგი ჯერ არ ჩატარებულა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ხარისიხის უზრუნველყოფის ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი გაწერილია დეტალურად და პროგრამა გადის საფეხურებრივ რევიზიას სხვადასხვა ჩართული პირის მხრიდან, როგორც აკადემიური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. თუმცა რეალურად შეიმჩნევა პროგრამაში ტექნიკური შეცდომები, რამაც შეიძლება იქონიოს გავლენა ინფორმაციის სწორად მიღებაზე. მაგალითად სასწავლო გეგმაში არჩევითი კურსების წინაპირობებში მითითებულია სასწავლო კურსები, თუმცა გაუგებარია, თუ რომელ არჩევითი კურსის წინაპირობას წარმოადგენს. ასევე სასწავლო კურსი პედიატრია 1 : სილაბუსში გამოცდები გაწერილია შემდეგნაირად : გამოცდები (საათები): შუალედური – 4 (მინი-OSCE) პრეზენტაცია – 4; ფინალური გამოცდა – 4 (ინტეგრირებული OSCE); სულ - 12. თუმცა მეორე დოკუნტში, კერძოდ სასწავლო გეგმაში ასახულია, რომ ”ინტეგრ. OSCE სულ 12 საათი“. აღნიშნული შეუსაბამობა ორ დოკუმენტში დამაბნეველია.

აქედან გამომდინარე, ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად უნდა გაამახვილოს ყურადღება დოკუმენტების ერთმანეთთან შესაბამისობაზე და ასევე როდესაც ხდება პროგრამის შეფასბა და მონიტორინგი, სასურველია დაინტერესებული პირებისთვის განკუთვნილი კითხვარები შემუშავებული იყოს იმგვარად, რომ მსგავსს ხარვეზებზეც მიიღოს ინფორმაცია ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურმა, რათა მოხდეს პრობლემის დროული აღმოფხვრა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასბის ანგარიში
- მექანიზმების შემაჯამებელი ცხრილი
- საგანმანათლებლო პროგრამა
- რექტორის 2018 წლის 1 ოქტომბრის #87 ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

რეკომენდაციები:

- პროგრამის და სილაბუსების ხარისიხის შემოწმების დროს მიაქციეთ ყურადღება მათ ტექნიკურ გამართულობას;
- შეიმუშავეთ უფრო მეტად დეტალური კითხვარები, რათა უკუკავშირის გზით მოხდეს არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა □ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		x		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფ. მედ. მეც. დოქტ. დოქტ. ჰონორის კაუზა გიორგი გრიგოლია

მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანსის უნივერსიტეტი, გერმანია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფ. მედ. მეც. დოქტ. ხათუნა საგანელიძე ნეუ ვიჟენ უნივერსიტეტი
მარიამ აბულაძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
პროფ. მედ. მეც. დოქტ. დავით ჯიქია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,